საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/35

ქ. ბათუმი 15 ივლისი, 2020 წ.

ბსუ-ს რექტორის არჩევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8, 25-ე, 37-39-ე მუხლების, ,,ბსუ-ს რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის №06-01/30 დადგენილების, ბსუ–ს საარჩევნო კომისიის 2020 წლის 15 ივლისის რექტორის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გიორგი დიასამიძის სამსახურებრივი ბარათისა (MES 1 20 0000604707) და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე, ბსუ–ს აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. მიღებული იქნეს ცნობად ბსუ-ს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 მაისის №06-01/30 დადგენილებით გამოცხადებული და 2020 წლის 15 ივლისს ჩატარებული ბსუ-ს რექტორის არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ, კერძოდ, **ბსუ-ს რექტორის თანამდებობაზე 2020 წლის 20 ივლისიდან 4 წლის ვადით არჩეულია ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში** (არჩევნებში მონაწილე აკადემიური საბჭოს 11 წევრი; მოპოვებულ ხმათა რაოდენობა - 11).
2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, ყველა ფაკულტეტს, ბსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს საარჩევნო კომისიას და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**